

ქორეოლოგია

სალომე ცინდელიანი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, თეატროლოგი
ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი –
ანანო სამსონაძე

სვანური სართულებიანი ფერხულის „მირმიქელა“ სახელწოდების ნაირგვარობის შესახებ

*საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, ცეკვა, ქორეოგრაფია,
ქორეოლოგია*

სვანეთი საქართველოს კუთხეთაგან ერთ-ერთი უმდიდრესია თავისი ფოლკლორით. ქართული ხალხური საცეკვაო ნიმუშების ფუნქციურ-შინაარსობრივ კლასიფიკაციას¹ თუ გავყვებით, ყველაზე მეტი ნიმუში სწორედ სვანეთში გვხვდება, საკულტო-რიტუალური ცეკვებიდან – ნადირობის, ასტრალური, ნაყოფიერების და სხვა ფერხულები, საერო-საყოფაცხოვრებოდან – საბრძოლო, შეჯიბრის, სახუმარო, შრომის, სატრფიალო ცეკვები. სვანური „მურყვამობა“ ნაყოფიერების კულტისადმი მიძღვნილი დღესასწაულია, რომელიც დიდი მარხვის ყველიერის კვირის ორშაბათს იმართებოდა (მას შავ ორშაბათსაც ეძახდნენ) და მასში საგალობლები, ფერხულები და თამაშობები სრულდებოდა:

1. კვირიას საგალობელი
2. კოშკობა (მურყვამობა)
3. ჭიდაობა
4. ადრეკილა
5. მელია ტელეფია
6. მორილ მიაქელა
7. გიორგის ჯვრის ფერხული
8. „მურყვამობა-კვირიაობა“ (ხეწე)²

აღნიშნული ფერხულები და თამაშობები სხვადასხვა წყაროში განსხვავებული თანმიმდევრობით ფიქსირდება, ზოგან რომელიმე

1 სამსონაძე, ქართული, 2004.

2 ჯანელიძე, ქართული, 2018, გვ. 102-104.

მათგანი საერთოდ არ ფიქსირდება, ზოგან ახალი ფერხული ჩნდება... აქ იკვეთება ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშან-თვისება – ვარიანტულობა, რომელთაგან ვერცერთზე ვიტყვით, რომ ან მართებულია, ან არა, რადგან თითოეულ ვერსიაში არის იმ ადამიანის (ეთნოფორის) მონათხრობი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამ დღესასწაულში. იგი ყველაფერს ისე გადმოგვცემს, როგორც მის დროს სრულდებოდა. მოგეხსენებათ, ქვემო და ზემო სვანეთი განსხვავდება, ეს კიდევ უფრო ბევრ ვარიანტს და დიდ მასალას გვაწვდის.

ქვემო სვანეთში სწორედ რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფერხულები სრულდებოდა, ხოლო ზემო სვანეთში ხდებოდა სასიყვარულო სცენის თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობდნენ:

- კეისარი ანუ ყეენი
- კეისრის პირველი დედაფლარი
- კეისრის მეორე დედაფლარი
- საქმისაი
- საქმისაის ათი მხლებელი¹

„საქმისაის აცმევდნენ ძონძებს, პირისახეს ნახშირით უმურავდნენ, თავზე ქუდის მაგივრად თხის ტყავის გუდას დაახურებდნენ, ზურგზე აჭკიდებდნენ ძველ ნივთებს და ქამარზე ჩამოჭკიდებდნენ ხისაგან გამოთლილ მამაკაცის ასოს. კეისარსაც ამგვარად აცმევდნენ. კეისარს წინასწარ აშენებული თოვლის კოშკის გვერდით მოსასვენებელს უწყობდნენ, სადაც კეისარი დედაფლარებთან ერთად ისვენებდა. დაღლილ კეისარს რომ ჩაეძინებოდა საქმისაი მას დედაფლარს მოსტაცებდა, გაღვიძებული კეისარი საქმისაის ჭიდაობაში შეებმებოდა, ამის შემდგომ კი იწყებოდა სიმღერა და ცეკვა“.² განსხვავება ზემო და ქვემო სვანურ მურყვამობაში ეს გახლდათ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი ნაწილი ერთი ჰქონდათ – თოვლის კოშკის აგება. კოშკის, რომელიც მურყვამს წარმოადგენდა, მაგრამ ვარიანტულობა აქაც გვაქვს: თოვლის კოშკს შიგნით ატანდნენ ან დიდი ყინულის ნატეხებს, ქვის ლოდებს ან ხის კეტებს (ხეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დღესასწაულის საკულტო ხეებია: არყის, ნაძვის, ფიჭვის და

¹ ჯანელიძე, ქართული, 2018, გვ. 117.

² იქვე ჯანელიძე, 2018, გვ. 117-118.

მდგნალის).¹ აგრეთვე ვარიანტულია ისიც, თუ რა იქნებოდა მოთავსებული კოშკის კენწეროში: საცერი, კალათა, ხისგან გამოთლილი მამაკაცის ასო, დროშა (დურშა) თუ ჯვარი. ზემო სვანეთში კი ამას ცალკე თამაშობა ეძღვნებოდა – „აღბა-ლიღრაღ“ („აღება-თამაშობა“), ვინც პირველი აიღებდა კენწეროში დამაგრებულ ნივთს, მას აუცილებლად ვაჟი შეეძინებოდა.

„მურყვამობის“ შემადგენელი ნაწილებიდან ერთ-ერთი სართულებიანი ფერხულია – მირმიქელა (მირმინკელა, მურამულდიქულა, მორილ მიაქელა, მორელი, მორული, მორილი, მიაქელა, მარმალმიქელ), რომლის სახელწოდების ვარიანტულობამ ჩემი ყურადღება მიიქცია.

მურყვამობის რიტუალის სტრუქტურული ელემენტების თანმიმდევრობა, სხვადასხვა წყაროში, განსხვავებულადაა წარმოდგენილი. თუმცა, ფერხული „მირმიქელა“, მცირედად განსხვავებული სახელწოდებებით, ყველა მათგანში გვხვდება.

დიმიტრი ჯანელიძესთან მურყვამობის სტრუქტურაში გვხვდება „მორილი“, რომლის შინაარსი მირმიქელას მსგავსია. გარდა ამისა, ჩამონათვალში იგი „მორილის“ სახელით ფიქსირდება, ხოლო უკვე განმარტების დროს გვხვდება როგორც „მორული“: „**მორული**“ ჰქვია იმას, რომ ფერხულს ასრულებს ექვსი კაცი. მიწაზე უდგათ ფეხები, რასაკვირველია, იმათ ბეჭებზე ადის კიდევ ექვსი კაცი და ფერხისობენ ასე: „**მორილ მიაქელა, შეგაბრუნებთ!**“ შემდეგ ქვედა წყება იტყვის: „**ახლა ზედა წყება იტყვის: „შეგანჯღრევთ“.**“ შემდეგ ქვედა წყება იტყვის: „**მორილ მიაქელა, ბეჭს აგიცდენტ, თეძოს მოიღრძობთ“.**“ ახლა ზედა წყება: „**შეგანჯღრევთ, ბეჭებს მოგახლებთ“.**“ ახლა ქვედა წყება: „**მორილ მიაქელა, აღდგომა მშვიდობით მოგვესწრებოდეს, უწინდელი ყველიერის ორშაბათი დაგვაკვიწყდა“.**²

იგივე შინაარსის განმარტებას გვაძლევს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“: „**მირმინკელა, მირმიქელა**“ – სვანური ორ და სამსართულიანი ფერხული. ცეკვის შინაარსი საბრძოლო ხასიათისაა. მამაკაცთა ერთი ჯგუფი შეკრავს წრეს და ჩაიჩოქებს. მათ მხრებზე შეადგება მამაკაცთა მეორე ჯგუფი, რის შემდეგაც ორსართულიანი ფერხული მოძრაობას იწყებს წრეზე. მირმინკელას ქვედა სართული ეშუქრება ზედას ჩამოგდებით, თავის მხრივ ზედა სართული ცდილობს გაუმკლავდეს, ბოლოს ზედა სართული მაინც

1 ონიანი, მურყვამობა-კვირიაობა, 2020, გვ.162.

2 ჯანელიძე, ქართული, 2018, გვ.100.

ჩამოვარდება და იწყება საერთო ცეკვა-თამაში. ცეკვა სრულდება სართულებს შორის გამართული სათანადო დიალოგის ფონზე“.¹

სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას აფიქსირებს სახალხო პოეტი ერეკლე საღლიანი, რომელიც თვლის, რომ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ნიმუშთან. იგი ამბობს: „**მორული**“ და „**მირმიქელა**“ განსხვავდება. მორულის დროს ზედა სართულის ჩამოვარდნა მართლაც ხდება, ხოლო მირმიქელას დროს არა“.² თუმცა ამ შემთხვევაში ბატონ ერეკლეს ვერ დავეთანხმები, რადგან, მხოლოდ „ჩამოვარდნის“ სხვაობა არ გვაძლევს საბაბს, რომ სხვადასხვა ფერხულად მივიჩნიოთ. ზედა სართული ადრე თუ გვიან მაინც მიწაზე აღმოჩნდებოდა. ქვედა სართული ჩამოგდებდა თუ თავად ჩამოცვივდებოდნენ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ქვედა სართული მოულოდნელად გამოეცლება თუ ზედა სართული თავისი ნებით ჩამოხტებოდა, ნებისმიერ შემთხვევაში ზედა სართული ბოლოს მაინც მიწაზე იქნებოდა. არ იყო აუცილებელი, რომ ტექსტის შინაარსი რეალობად ქცეულიყო და ზედა სართულის მეფერხულეებს მართლა რამე მოეტეხათ, აქედან გამომდინარე, ერეკლე საღლიანის ვარაუდი, ცოტა არ იყოს, უსაფუძვლოა.

ავთანდილ თათარაძე კი ამბობს, რომ მოულოდნელად ეცლება ქვედა სართული ზედას და მათი ჩამოგდება ხდება. აქვე გვაწვდის იგი „მირმიქელას“ ტექსტს:

- „I გუნდი (ქვედა): ორი მირმიქელა ჟიქან ხარიდ ჩუაკვანედ ჰო
(ორი მირმიქელა ზევით ხართ და ჩამოგადგებთ ჰო)
- II გუნდი (ზედა): ორი მირმიქელა ჯიქან ხარიდ დეშანკვანედ ჰო
(ორი მირმიქელა ზევით ვართ და ვერ ჩამოგვადგებთ ჰო)
- I გუნდი (ქვედა): ორი მირმიქელა ფოყს ეჩქადნენ ფოყს
აყვიჩიედ ჰო
(თეძოს აგიცდენტ, თეძოს მოგამტრევთ ჰო)
- II გუნდი (ზედა): ორი მირმიქელა დეშ ენქადნენ დეშ აწყვიჩიედ ჰო
(ვერ აგვიცდენტ, ვერ მოგვტრევთ ჰო)
- I გუნდი (ქვედა): ორი მირმიქელა ბარჯს ეჩქადნენ ბარჯს აწყვიჩიედ ჰო
(მხარს აგიცდენტ მხარს მოგამტრევთ, ჰო)
- II გუნდი (ზედა): ორი მირმიქელა დეშ ენქადნენ დეშ აწყვიჩიედ ჰო
(ვერ აგვიცდენტ ვერ მოგვამტრევთ ჰო)...“³

1 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1984, გვ. 13.

2 ინტერვიუ, ერეკლე საღლიანთან, ჩაწერილი 2021 წლის 8 აპრილს.

3 თათარაძე, ქართული, 1999, გვ. 75.

წარმოგიდგინებ „მირმიქელას“ კიდევ ერთ აღწერას ბორის კოვალევსკის მიერ, რომელიც გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ მას აქვს აღწერილი სამსართულიანი მირმიქელა, რაც სხვა წყაროებში არ გვხვდება. თუმცა, ჯუნის ონიანთან რამდენიმე ეთნოფორი აღნიშნავს და გურგენ გურჩიანიც მიდასტურებს, რომ უფრო ხშირად, სწორედ რომ სამ სართულს აგებდნენ.

„დგება დღესასწაულის უმნიშვნელოვანესი ნაწილის დრო. ხალხის მასა გარს ერტყმის თორმეტი მამაკაცის ფერხულს, რომელთაც ერთმანეთი ქამრების ბალთებზე ჩავლებული ხელებით უჭირავთ და ცეკვავენ უბრალო (მარტივ), მაგრამ უჩვეულოდ მხნე და ელასტიკურ ცეკვას. ცეკვის დროს იმუხლებიან ცალ ფეხზე, ხოლო მეორეს გამოსწევენ წინ. კიდევ თორმეტი ადამიანი (მამაკაცი) დაყრდნობილი მოცეკვავეთა ზურგებს, მოქნილად შეახტება მათ მხრებზე და წარმოქმნიან მეორე წრეს, ამავე დროს ყოველი მათგანი მარცხენა ფეხით ადგას ერთის მარჯვენა მხარს, ხოლო მარჯვენა ფეხით მეორე მოცეკვავის მარცხენა მხარს. ვერ მოასწრო გამართვა (გამყარება) მეორე წრემ, რომ მის მხრებზე ადის მესამე წრე და დგება იმავე წესით. და, ეს უჩვეულო სამსართულიანი ფერხული ბრუნავს, მღერის და ერთმანეთს – ქვედა ზედას – პაექრობაში ეჯიბრება. ეჯიბრებიან ლანძღვის გამოძგონებლობასა და მრავალფეროვნებაში, მანამ, სანამ შეურჩევს რა მომენტს, ქვედა სართული არ ჩამოყრის ზედას თავისი მხრებიდან, რასაც მაყურებელთა საერთო მხიარულება სდევს თან. ზეიმი გრძელდება, მოცეკვავეები წამოდგნენ, დაიფერთხეს და დაეწყვნენ ახალი ცეკვის-თვის – „მელიაი“.¹

აღნიშნულში არაა ნახსენები სახელოვნება, მაგრამ მისი აღწერილობა სრულიად ემთხვევა „მირმიქელას“ – ფერხულის ფორმით, მარტივი ფეხის მოძრაობით, შინაარსით, სართულებს შორის პაექრობით და იმით, რომ ის ლიმურყვამალის (მურყვამობის) დღესასწაულზე „შავ ორშაბათს“ სრულდებოდა.

გარდა წერილობითი წყაროებისა, ამ ფერხულის ცოცხალი შესრულება ფიქსირდება რამდენიმე ფოლკლორულ ანსამბლში: მესტიის ანსამბლ „რიჰოს“ რეპერტუარში იგი გვხვდება როგორც – „მირმიქელა“, ხოლო ლეჩხუმის ანსამბლ „მიჟენარის“ რეპერტუარში როგორც – „მარმალ მიქელ“. თუმცა, კანდი მერლანის

1 Ковалевский, Страна, 1930, Стр. 21-24.

თქმით, ფეხის მოძრაობა (მიდგმით სვლა) ორივეგან ერთია და შინაარსიც ერთნაირია, ქვედა სართული ცდილობს ზედა სართულის ჩამოგდებას. „მარმალ მიქელის“ სახელწოდება გვხვდება, ასევე, დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „შგარიდას“ რეპერტუარში. გურგენ გურჩიანი, ანსამბლის ხელმძღვანელი, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ „ამ ფერხულს ორი სახელწოდება აქვს „მირმიქელა“ და „მარმალ მიქელ“, არც ერთი მათგანი არ არის შეცდომა და შეგვიძლია ორივე სახელწოდება გამოვიყენოთ“.¹ ჩემთან ინტერვიუში კი მან თქვა, რომ ყველა სოფელში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ აღნიშნულ ფერხულს. აქვე შემოგთავაზებთ ანსამბლ „შგარიდას“ მიერ შესრულებულ „მარმალ მიქელის“ (ჩუბეხევური ვარიანტი) აღწერას: თექვსმეტი მეფერხულე რკალზე არიან განლაგებული, როგორც ძველი თაობა, ასევე ახალგაზრდებიც. ასრულებენ სასიმღერო ტექსტს „რაშა რერია ვო“. შემდგომ რკალი ნელ-ნელა იკვრება. ექვსი ახალგაზრდა ვაჟკაცი შედის შიდა წრეში, სამი მათგანი ცალ მუხლზე დაიჩოქებს, მკლავებს ერთმანეთის მხრებზე გადააჭდობენ, მეორე სამი ყმაწვილი კი ასევე მხრებზე გადახვევენ ერთმანეთს მკლავებს და მუხლზე ჩამჯდარ მეფერხულეებს ჯერ მუხლზე დაადგამენ ერთ ფეხს, შემდეგ მეორე ფეხს მხარზე და ზედა სართულზე ავლენ. დანარჩენი ათი ასაკოვანი მეფერხულე გარშემო შეკრავს წრეს, ხელჩაკიდებულები. იწყებენ „მირმიქელას“ სიმღერას. ფეხის მოძრაობა საკმაოდ მარტივია. სრულდება მიდგმით სვლა, შიდა ანუ სართულებიანი წრე ექვსი სათვალავი მარჯვნივ ბრუნავს, ექვსი სათვალავიც მარცხნივ, ხოლო გარეთა წრე მხოლოდ მარჯვენა მხარეს ბრუნავს. ამის შემდგომ, ზედა სართული ქვემოთ ჩამოხტება, ქვედა სართულის, წრის შიგნით. ხელებს წელს უკან გადაჯვარედინებულად ჰკიდებენ. მათი ფეხის მოძრაობა ისევ მიდგმით, მაგრამ ახლა მხოლოდ მარცხენა მხარეს. რაც შეეხება გარეთა წრეს, იცვლება მათი ფეხის მოძრაობა – მარცხენა მხარეს მიდგმა და მარჯვენა ფეხის გაქნევა, შემდეგ იმავეს ასრულებენ მარჯვენა მხარეს და გაქნევა კეთდება მარცხენა ფეხით, იმავე ფეხით დგამენ გადაჯვარედინებულ ნაბიჯს მარჯვნივ, შემდეგ აკეთებენ მარჯვენა ფეხის გაქნევას და იწყება თავიდან (იმეორებენ 3-ჯერ). ამას მოსდევს შემდეგი ნაწილი, „რირაშა“ („რერეშა“), აქ უკვე ორივე წრე მარჯვენა მხარეს ბრუნავს. ხელები ახლა უკვე ში-

¹ გადაცემა, ეთნოფორი, 2016.

და წრესაც მკლავქვეშ აქვს ჩაკიდებული, როგორც გარეთა. ფეხის მოძრაობა ისევ იცვლება, ორივე წრე ერთსა და იმავე მოძრაობას აკეთებს – მარჯვენა ფეხი იდგმება წინ, შემდეგ მარცხენა გვერდით, მარჯვენა ფეხი იდგმება უკან, მარცხენა ფეხი ისევ გვერდით და ამ სვლით ატრიალებენ წრეებს მარჯვენა მხარეს, ნელ–ნელა ხსნიან წრეს, დგებიან რკალზე და შემდეგ იწყება ცერული.¹

როგორც ვხედავთ, არსებული ჩანაწერის მიხედვით, „მარმალ მიქელ“ სამი ნაწილისაგან შედგება – „სვანური მხედრული“² („რამა რერია ვო“), „მირმიქელა“ და „რირაშა“. სამივე მათგანი განსხვავდება ერთმანეთისგან: შიდა წრეში გვხვდება ხელის სამი მდგომარეობა: მხრებზე გადაჯდობილი, წელს უკან გადაჯვარედინებული და მკლავქვეშ ჩაკიდებული. გარე წრეზე მხოლოდ მკლავქვეშ ჩაკიდებულია. ფეხის მოძრაობა პირველ ნაწილში ორივე წრეს ერთი აქვს მაგრამ სხვა მიმართულებით, მეორე ნაწილში შიდა წრე მხოლოდ მარცხნივ ბრუნავს, გარეთა წრე მხოლოდ მარჯვნივ და ფეხის მოძრაობა განსხვავებულია. მესამე ნაწილში კი ფეხის მოძრაობაც ერთი აქვთ და მიმართულებაც, ორივე წრე მარჯვენა მხარეს ბრუნავს და რკალზე განლაგებიან, რასაც ცერულს აბამენ.

„მირმიქელას“ აღნიშნული ვარიანტი თავად გურგენ გურჩიანმა აღადგინა და დასაწყისში „სვანური მხედრულიც“ თავად დაუკავშირა, შინაარსიდან გამომდინარე. რადგან „მირმიქელას“ როგორც საწვრთნო–სავარჯიშო და სახუმარო დანიშნულება ჰქონდა, ასევე იგი იყო საბრძოლო დატვირთვისაც, გურგენ გურჩიანის თქმით, „მირმიქელა“ იყო გათამაშება იმისა, რომ ციხესიმაგრე აეღოთ.³ მსგავსი მოსაზრება აქვს ავთანდილ თათარაძეს (ყველა სართულებიანი ფერხული მისი თქმით საბრძოლოა). სწორედ ამ გათამაშების საფუძველზე დაყრდნობით დაურთო „მირმიქელას“ წინ „სვანური მხედრული“ გურგენ გურჩიანმა. მან შემოგვთავაზა „მირმიქელას“ ჩუბეხევეური ვარიანტი, რომელსაც ჩუბეხეველები ასრულებდნენ.

წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დადასტურებულად ვთქვათ, რომ ყველა ეს სახელწოდება – მირმიქელა, მირმინკელა, მორილი, მორული და მარმალ მიქელ ერთ ფერხულს ჰქვია

1 მარმალ მიქელ, 2016.

2 დათიკო ჩხეტიანისგან ვიცით სახელწოდება – „სვანური მხედრული“. გურგენ გურჩიანის თქმით, ასეთი მეორე ფერხული არ არსებობს.

3 გურგენ გურჩიანთან ინტერვიუ, 2022.

და ერთი და იგივე შინაარსი აქვთ, ამაზე მათი სახელწოდებების ფონეტიკური ჟღერადობა და ეტიმოლოგიაც მიგვითითებს, მაგრამ სხვა წყაროებში კიდევ ახალი სახელწოდებები ჩნდება. ნაშრომში „მურყვამობა-კვირიაობა სვანეთში“ ჯუნის ონიანი, მირმიქელასთან დაკავშირებით, მსგავს აზრს აფიქსირებს: „ორი ან სამსართულიანი ფერხული-სიმღერა „**მორილ-მიაქელა**“. აქაც, როგორც „**მელია-ტელეფიაში**“, სათაურად ორი სახელი გვაქვს – „**მორილ**“ და „**მიაქელა**“. ეს სიმღერა-ფერხული შეჯიბრის სახით ტარდებოდა. მედა სართულის მეფერხულენი ემუქრებოდნენ ქვედა სართულის მეფერხულენი, რომ მოსტეხენ თავს, ბეჭს, მკერდს, თეძოს, ფეხს. ასევე მუქარით უბასუხებდნენ ქვედა სართულის მეფერხულენი. ბოლოს ქვედა სართულის მეფერხულენი გაიწვევდნენ და ბეჭებზე მდგომ მომღერლებს ჩამოყრიდნენ.

მსგავსი სიმღერა-ფერხული, სახელწოდება „**მურამულდი ქულა**“, როგორც საბავშვო თამაში, დამოწმებულია მხოლოდ უმცულში. იგი აღწერილი აქვს ბეს. ნიჟარაძეს და „**მორილ მიაქელა**“ მსგავსი სიმღერა-ფერხული ჩანს“.¹ იმავე თამაშობის აღწერას ვხვდებით „ხალხურ სიტყვიერებაში“: „**რამდენიმე ყმაწვილი ერთიმეორეს ჩაჰკიდებენ ხელს ბეჭებში და წრეს შეკრავენ. ამათ ბეჭებზე დაადგება იმდენივე ყმაწვილი, რამდენიც ქვევით დგას. ესენიც ერთიმეორეს ხელებს ჩასჭიდებენ ბეჭებში. ქვეშ მდგომნი დაიწყებენ მოძრაობას, სიარულს, მიხვევ-მოხვევას და სიმღერას. სიმღერაში ემუქრებიან ზევით მდგომ ყმაწვილებს, რომ ძირს დაახეთქებენ. ზეითურები უშიშროებას უცხადებენ სიმღერთვე. ამ დროს ქვეითურები ცდილობენ დრო უხელთონ მედაურებს, მედაურებიც, თუ მარჯვედ არ იქნებიან, მიწაზე გაიშხლართებიან. ეს კი დამოკიდებულია ქვედა ჯგუფის მოხერხებაზე და მედის სიმარდემზე**“.²

ბემოთ მოყვანილ წყაროებში რა სახელწოდებებიც არის ნახსენები, თითქოს ყველა ჰგავს ერთმანეთს ჟღერადობით და ეს ვარიანტულობაც ლოგიკურია, მაგრამ აქ ჩნდება სრულიად სხვა ჟღერადობის სიტყვა – „**მურამულდი ქულა**“.

ჯუნის ონიანის მოსაზრება „**მირმიქელასთან**“ დაკავშირებით, აბსოლუტურად ემთხვევა ჩემს აზრს.

1 ონიანი, ქართული, 2020, გვ. 175.

2 ბლანკი, როგორი, 2011.

1. იგი თავის წიგნში ამბობს, რომ ორ ან სამსართულიანი ფერხული „**მორილ-მიაქელა**“ სრულდებოდა მურყვამობის რიტუალის დროს და სახელწოდება გვაქვს ორი – „**მორილი**“ და „**მიაქელა**“. (რადგან სვანური ენა ზეპირსიტყვიერია და დამწერლობა ქართული, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ორი სახელწოდების წარმოქმნა დეფისთან იყოს დაკავშირებული).

2. დიმიტრი ჯანელიძის წიგნში მოყვანილ აღწერაში კი ჯუზის ონიანი ამბობს, რომ ორ ან სამსართულიანი ფერხული „**მირმიქელა**“, მსგავსი უნდა იყოს ფერხულ „**მურამუდლიქელასი**“.

ონიანისეულ მოსაზრებებს აბსოლუტურად ვეთანხმები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ფერხულები კი არ ჰგვანან ერთმანეთს ან მსგავსებაა მათ შორის, არამედ გამოვთქვამ მყარ ვარაუდს, რომ ყველა ამ სახელწოდების ქვეშ მოქცეული შინაარსი არის იდენტური, შესაბამისად, ფერხულიც გამოდის რომ არის ერთი, მხოლოდ სახელწოდებებია განსხვავებული, რაც ძალიან ბუნებრივია, რადგან, როგორც ვიცით, ქართული ფოლკლორი არის ზეპირსიტყვიერი და აღნიშნული ფერხული სათავეს იღებს ქრისტიანობამდე. ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები თაობიდან თაობას გადაეცემოდა და არ ხდებოდა მათი ფიქსირება (ნოტები, აუდიოვიზუალური მასალა). სწორედ აქედან გვაქვს ერთი და იმავე ფერხულის სახელის ნაირგვარობა.

სვანეთში მუჟვე წყალს ორი სახელწოდება აქვს: „სგიშ“ და „მორელ“, „მორილ“ იგივე „მორელ“ უნდა იყოს. მიაქელა, ჩანს, იგივე მიქელ (მიხილ) მთავარანგელოზია, რომლის მოვალეობას წყაროს წყლების მფარველობა შეადგენდა. ანალოგიურ ვითარებას ადასტურებს ვერა ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებშიც, მათ მიერ „ნალექებსა და წყალთან ასოცირებული ადგილობრივ ღვთაებათა დიდი ნაწილი, მაგალითად „მიქელ წყაროს თავისაი“, „გიორგი ნალვარმშვენიერი“, „გიორგი ნიაღვრის პირისაი“, „პეტრე ნიაღვრის პირისაი“, „მიქიელ წყალშუისაი“ და ა.შ.¹ წყაროს წყალი – როგორც სიცოცხლის წყარო, ახლის საწყისი. წყაროს წყალი მიწიდან ამოდის ანუ ახალი სიცოცხლე, სიცოცხლე კი გამრავლებას უკავშირდება ანუ ნაყოფიერებას, რაც პირდაპირ ბმაშია მურყვამობის რიტუალთან და მის შემადგენელ ნაწილ „მირმიქელასთან“.

¹ ონიანი, ქართული, 2020, გვ. 175.

ავთანდილ თათარაძე „ქართულ ცეკვათა განმარტებანში“ „მირმიქელას“ ასე აღწერს: „საბრძოლო შინაარსის ორსართულიანი სვანური ფერხული, შესრულებული მამაკაცთა მიერ (სიტყვა – მირმიქელას ხტუნვასთან აქვს კავშირი, ამ შემთხვევაში – ჩამოხტომასთან). ფერხულის დასაწყისში „მირმიქელას“ მონაწილე მამაკაცთა ერთი ნაწილი წრეზე განლაგდება, მკლავებს ერთმანეთს მხრებზე გადააწყობს და ცალ მუხლზე ჩაიჩოქებს. მათ მხრებზე შეადგება ასევე მხრებზე ხელებგადახვეულ მამაკაცთა მეორე ნაწილი, რის შემდეგაც ფერხული წამოდგება და სვლას იწყებს წრეზე მარჯვნივ. ფერხულის ქვედა სართული ჩამოგდებით ემუქრება ბედას, ბედა სართული კი, თავის მხრივ, უპასუხებს, რომ მათ არც ჩამოგდების ეშინიათ და ვერც ჩამოაგდებენ. ბოლოს, ქვედა სართული იხელთებს დროს, მოულოდნელად გაეცლება და ჩამოყრის მათ...“¹ ამის შემდგომ იგი გვაძლევს „მურამულდიქულას“ განმარტებას: „იგივე მირმიქელა (იხ. მირმიქელას აღწერა)“²

ჯუნის ონიანისა და ავთანდილ თათარაძის ვარაუდები, რომ „მორილ-მიაქელა“ და „მირმიქელა“ მსგავსი არიან ფერხულ „მურამულდიქულასი“ (ონიანისეული ვერსიით „მორილ-მიაქელა“ მსგავსი „მურამულდიქულასი“, თათარაძის ვერსიით „მირმიქელა“ მსგავსი „მურამულდიქულასი“) სრულიად გამართლებულია და ჩემი კვლევიდან გამომდინარე დასტურდება კიდევ. ორივე მათგანი სხვადასხვა სახელწოდებას იყენებს, მაგრამ მსგავსებას ერთსა და იმავე სახელწოდების მქონე ფერხულთან ქმნიან, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩემს ვარაუდს, რომ ფერხულ „მირმიქელას“ ბევრ სხვადასხვა წყაროში ვხვდებით, სახელწოდების განსხვავებული ფორმებით.

თითოეული მათგანის ფორმა, შინაარსი იდენტურია, ფერხულის ტექსტი ორ სართულს შორის პაექრობაა:

„ორი მირმიქელა, ჩუქუნ ხუარი, ქალაქსიზნი,
(ორი მირმიქელა, დაბლა ვარ და შემოგიბრუნდები),
ორი მირმიქელა, ჟიქან ხუარი, დემ ლამსიზნი,
(ორი მირმიქელა, ბემოთ ვარ და ვერ შემომიბრუნდები).
ორი მირმიქელა, ქა ლაქსიზნი, ჩუ აჯკუანნი,
(ორი მირმიქელა, შემოგიტრიალდები და ჩამოგაგდებ),
ორი მირმიქელა, დემ ლამსიზნი, დემ ამკუანნი,

1 თათარაძე, ქართული, 1986, გვ. 22-23.

2 იქვე თათარაძე, 1986, გვ. 25.

*(ორი მირმიქელა, ვერ შემომიტრიალდები, ვერ ჩამომავდებ
ორი მირმიქელა, ბარჯს ეჯქადნე, ჩუ აჯკუანნე,
(ორი მირმიქელა, მხარს ავიცდენ, ჩამოგავდებ),
ორი მირმიქელა, დემ ემქადნე, დემ ამკუანნე,
(ორი მირმიქელა, მხარს ავიცდენ, ჩამოგავდენ),
ორი მირმიქელა, დომ აჯკუანნე, ეს ხეწდენი,
(ორი მირმიქელა, თუ ვერ ჩამოგავდებ, მაგასაც ნახავ)...¹*

ფერხული „მირმიქელა“ სავალდებულო და არასავალდებულო შესასრულებელ ფერხულებიდან, ერთადერთი სართულებიანი ფერხულია მურყვამობის რიტუალში და შეგვიძლია ის მურყვამის, კოშკის სიმბოლოდ ჩავთვალოთ. მირმიქელა თავდაპირველად, წარმართულ ეპოქაში, რიტუალური დატვირთვის მქონე ფერხული იყო, დროთა განმავლობაში კი მან ეს ფუნქცია დაკარგა და დღესდღეობით სახუმარო, შეჯიბრის ხასიათის, საწვრთნო-სავარჯიშო ფერხულად იქცა. სართულზე ასვლა და ფერხულის ასე შესრულება ნამდვილად საჭიროებს სპორტულ მომზადებას. ასევე, ამ ფერხულის სახუმარო ხასიათი ქვედა სართულსა და ზედა სართულს შორის პაექრობის საფერხულო ტექსტში იკვეთება.

მელოდიური თვალსაზრისით, დღევანდელიაში სამი მუსიკალური თემა ენაცვლება ერთმანეთს – „რაშა რერია ვო“, „მირმიქელა“ და „რირაშა“, რომელთა ჟღერადობაც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება და შესაბამისად, განსხვავებულ რიტმულ სტრუქტურას იძლევა, დაბალი ტემპიდან გადავდივართ საშუალოზე და შემდეგ სწრაფზე.

გურგენ გურჩიანი გამოყოფს „მირმიქელას“ სამ დანიშნულებას:

1. საკრალური დანიშნულება („ნაყოფიერების რიტუალი“)
2. საბრძოლო ხასიათი (ციხესიმაგრის აღების გათამაშება)
3. საბავშვო თამაშობა (ყოფითი, სპორტული სანახაობა)²

ჩვენ შეგვიძლია მეოთხეც დავამატოთ, ფერხულის სახუმარო ხასიათი (სართულებს შორის პაექრობა).

როგორც ვხედავთ, „მირმიქელას“ მრავალფეროვნება მხოლოდ სახელწოდებაში არ არის, მისი ფუნქციური დატვირთვა, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, მრავალგვარია. გურგენ გურჩიანი იქვე დასძენს, რომ მთავარი მაინც მისი საკრალურობა და რიტუალური დატვირთვაა, თუმცა დღესდღეობით იგი მხოლოდ

1 ცინცაძე, ფილფანი, სვანური, 2020, გვ. 67.

2 ინტერვიუ გურგენ გურჩიანთან, 2022.

თამაშობის სახით გვხვდება, როგორც ყოფითი, სპორტული სანა-
ბაობა.

წყაროების მიხედვით მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ „მირმიქელა“ არის ერთი საცეკვაო (საფერხულო) ფოლკლორული ნიმუში, რომელიც იდენტური ფორმით, შინაარსით, ფეხის მოძრაობით, საფერხულო ტექსტის მცირედი ვარიანტულობით ფიქსირდება და მხოლოდ განსხვავებული სახელწოდებით არის მოხსენიებული – მირმიქელა, მირმინკელა, მორილ-მიაქელა, მორული, მორილი, მიაქელა, მარმალ მიქელი, მურამუდლიქელა.

ბიბლიოგრაფია:

1. გადაცემა „ეთნოფორი“, დმანისი, 2016, <https://ajaratv.ge/video/2463>.
2. თათარაძე ა., ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები, თბ., 1999.
3. თათარაძე ა., ქართულ ცეკვათა განმარტებანი, თბ., 1986.
4. „მარმალ მიქელ“, დმანისის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „შგარიდა“, ხელმძღვანელი გურგენ გურჩიანი, დმანისი, 2016 <https://youtu.be/YSuz405x3p0>
5. ონიანი ჯ., ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა IV (მურყვამობა-კვირიაობა სვანეთში), თბ., 2020.
6. სამსონაძე ა., ქართული საცეკვაო ფოლკლორის ფუნქციურ-შინაარსობრივი კლასიფიკაციისათვის, სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. II, თბ., 2004.
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984.
8. ცინცაძე დ., ფილფანი ვ., სვანური ხალხური შემოქმედება, თბ., 2020.
9. ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ისტორია, თბ., 2018.
10. „ხალხური სიტყვიერება“, N 145, https://www.busuna.ge/2011/08/blog-post_25.html?m=1.
11. Ковалевский Б., Страна снегов и башен, „Прибой“, Л., 1930.

Salome Tsindeliani,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Ph.D. of Theater studies
Heads of – Prof. Anano Samsonadze

SVANURI FLOORS FERKHULI „MIRMIQELA“ ABOUT
A VARIETY OF NAME

Abstract

Keywords: Folklore, Dance, Choreography, Choreology

Georgian folklore, with its diverse dialects, serves as the finest representation of our national intangible culture. Svan dances, alongside the majestic peaks, carafes, and castle towers of Svaneti, symbolizing freedom and a resilient spirit. The traditional rituals of Svaneti are well-preserved and held in high esteem.

Svaneti is one of the most culturally rich regions in Georgia, especially regarding its folklore. According to the functional-substantive classification of Georgian dance patterns, the most diverse range of dance patterns can be found in Svaneti. These include cult-ritual dances such as hunting, astral, fertility, and other dances, as well as dances that reflect secular-household life, such as combat, competition, gambling, and work.

The cult-ritual performance devoted to fertility encompasses the Svan „Muryvamoba“, held on the Monday of the Great Lent week (also known as Black Monday). The event comprises chants, Ferkhuli, and games.

One of the essential components of „Muryvamoba“ is the two-story Ferkhula - Mirmikela. While different sources present the structural elements of the „blasphemy“ ritual in varying orders, Ferkhuli Mirmikela (also referred to as Mirmikela, Mirminkela, Moreli, Moruli, Moril, Miakela, Moril Miakela, Marmal Mikel, Muramuldikula) remains consistent.

In Kvemo Svaneti, the „Muryvamoba“ ritual includes Adrekila, Melia Telefia, Kviria's song, Ferkhuli of the Girog cross, Koshkoba,

Ferkhuli, Mirmikela, and other Ferkhuli games. In Zemo Svaneti, the ritual is accompanied by „Kshetisai“.

The participants of the event used to wear turbans, smear their faces with charcoal, cover their heads with a goatskin guide instead of a hat, carry old items on their backs, and hang a man’s letter carved out of wood on their belts. Caesar also dressed this way. A resting place was provided for Caesar next to a pre-built snow tower where he could relax with his mother’s flares. When a tired Caesar would fall asleep, Geserai would kidnap his mother, and when Caesar was awake, he would engage in wrestling with Geserai, and after that, he would start singing and dancing“.¹

„This was the difference between Upper and Lower Svan paganism, but they had one important and central practice in common – the construction of a snow tower called „Muryvami“. However, there are variations in the objects placed inside the tower. Large pieces of ice, stone boulders, or wooden kets were sometimes carried inside, and the inclusion of a tree was considered to be significant“. The iconic trees of this holiday are birch, fir, pine, and fir).² There are various options for what could be placed in the pillar of the tower, such as a sieve, a basket, a man’s letter carved out of wood, a flag (known as „Drosha“ or „Dursha“ in Georgian), or a cross. In Zemo Svaneti, a separate game was dedicated to this, known as „Aghba-lighral“ or „taking-playing“. The first person to pick up the thing attached to the kentsero was believed to have a son.

The content of the multi-story building mentioned above reflects the relationship between the upper and lower floors. The lower floor threatens the upper floor, saying they will turn their backs and topple them, while the upper floor responds that they stand firm and cannot be knocked down. This content is identical in all sources, but the different forms of the name still require research to determine the variability of this pattern.

There is a fixed term for this dance, known as **Moruli** or **Morili** according to Dimitri Janelidze, and **Morili**, **Miakela**, **Moril Miakela**, **Muramuldikula** according to Junis Ojiani and Avtandil Tataradze. Different sources may use varying names for this dance, but the content of the mentioned ferkhuli is the same everywhere.

1 Janelidze, History, 2018, p.117-118.

2 Oniani, Ignorance-strangeness, 2020. p. 162.

In addition to written sources, the live performance of this ferkhuli has been recorded in several folk ensembles. For example, it is found in the repertoire of the ensemble „Riho“ of Mestia as „Mirmikela“, and in the repertoire of the ensemble „Mizhenari“ of Lechkumi as „Marmal Mikel“. However, according to Kandy Merlan, the movement of the foot (step) is the same in both, and the content is the same as well, with the lower floor trying to knock down the upper floor. The name „Marmal Mikeli“ can also be found in the repertoire of the folklore ensemble „Shgarida“ at the Dmanisi Culture and Art Center. Gurgen Gurchiani, head of the ensemble, said in one of the interviews that “this ferkhuli has two names, „Mirmikela“ and „Marmal Mikel“, neither of them is a mistake and we can use both names”.¹ During an interview with me, he mentioned that the Ferkhuli dance is known by different names in every village. In this context, we will describe the „Marmal Mikel“ dance as performed by the „Shgarida“ ensemble.

The performance involves sixteen rowers on an arc, consisting of both young and old generations, who sing the lyrics of the song „Rasha Reria Vo“. The arc then closes slowly, and six young men enter the inner circle, with three kneeling on one knee and placing their arms on each other’s shoulders. The remaining three boys also put their arms on each other’s shoulders, and the kneeling porters put one leg on the knee, followed by the other leg on the shoulder, and then open the upper floor.

The other ten elderly rowers form a circle, holding hands and singing „Mirmikela“. The leg movement is simple, with vertical movement completed as the inner circle rotates six times to the right and six times to the left. The outer circle only rotates to the right. The upper floor then descends, inside the circle of the lower floor, and the hands are crossed behind their back. The leg movement is vertical again, but this time only on the left side. The outer circle changes their leg movement, stepping on the left side and swinging the right leg, then repeating the same on the right side and swinging with the left leg, taking a crossed step to the right with the same leg, and then swinging the right leg and starting over (repeated three times).

The next part is „Rirasha“ („Rerasha“), and both circles turn to

¹ Ethnofor, program, 2016.

the right. The inner circle of the hands is now also hanging in the lower arm, just like the outer circle. Both circles make the same leg movement – the right foot is placed forward, followed by the left foot, the right foot is then placed back, and the left foot is again placed to the side. With this movement, the circles turn to the right side, slowly opening the circle, standing on the arc, and then the thumb is performed. Thumb.¹

As we can see from the existing records, „**Marmal Mikel**“ consists of three parts: „Svanuri Mkhedruli“ („Rasha Reria Vo“), „Mirmikela“, and „Rirasha“. All three parts are distinct from each other. In the inner circle, there are three positions of the hand: crossed over the shoulders, crossed behind, and hanging on the lower arm. It is only attached to the outer circle in the lower arm. In the first part, both circles have the same foot movement but in different directions. In the second part, the inner circle rotates only to the left, the outer circle only to the right, and the foot movement is different. In the third part, the foot movement is in the same direction, both circles turn to the right, and they are placed on an arc, which they bathe in ceruleus.

The mentioned variant of „**Mirmikela**“ was restored by Gurgen Gurchiani himself, and at the beginning, he also connected it with „Svanuri Mkhedruli“, depending on the context. According to Gurgen Gurchiani, „Mirmikela“ had both a training and entertainment purpose, and it also had a combat load. Therefore, he believed that „Mirmikela“ was a raffle to capture the fortress. A. Tataradze shares a similar opinion (according to him, all multi-story Ferkhuli are military). Based on this draw, Gurgen Gurchiani joined „Svanuri Mkhedruli“ in front of „Mirmikela“. He proposed the Chubekhev variant of „Mirmikhela“, performed by the Chubekhevs.

Ferkhuli „Mirmikela“ is the only two-story Ferkhuli in the rite of idolatry from the mandatory and optional Ferkhuli, and we can consider it as a symbol of idolatry, the tower. Initially, in the pagan era, Mirmikela was a Ferkhuli with a ritual load, but over time it lost this function, and today it has become humorous, competitive, and training Ferkhuli. Climbing on the floor and performing the Ferkhuli like this requires athletic training. Additionally, the humorous

¹ Marmal Mikel, Folk ensemble, 2016.

character of this Ferkhuli is reflected in the dialogue between the lower floor and the upper floor.

Based on the sources, we can confirm that all these names – **Myrmikela**, **Myrminkela**, **Moril**, **Morul**, and **Marmal Mikel** – refer to the same Ferkhul and have the same content. The phonetic sound of their names and etymology also indicate this.

In different historical periods, „**Mirmikela**“ had a different functional load:

1. Sacred purpose (fertility ritual)
2. Combat character (castle capture game)
3. Children’s game (former, sports spectacle)

The purpose before Christianity is different from today. In modern existence, „**Mirmikela**“ only exists as a sports spectacle. It is no longer performed during the rite of „blasphemy“ because the rite itself has changed form, and the elements that were unacceptable to Christendom have disappeared. Ferkhuli „**Mirmikela**“ is an example of Georgian dance folklore, which shows that we cherish our treasures, take care of them, and try to combine time and era.

Bibliography:

- Georgian Soviet Encyclopedia., Vol. 7., 1984.
- <https://ajaratv.ge/video/2463> „Ethnofor“ program, Dmanisi, 2016.
- https://www.busuna.ge/2011/08/blog-post_25.html?m=1 „People’s speech“, N 145.
- <https://youtu.be/YSuz405x3p0> „Marmal Mikel“. Folk ensemble „Shgarida“ near the Dmanisi Culture Center. Head Gurgen Gurchiani. Dmanis., 2016.
- Janelidze D., History of Georgian Theater, Tb., 2018.
- Oniani J., Georgian Ethnographic Heritage IV, (Ignorance and Ignorance in Svaneti), Tb., 2020.
- Samsonadze A., For functional–content classification of Georgian dance folklore, collection of scientific works, vol. II, Tb., 2004.
- Tataradze A., Definitions of Georgian Dances, Tb., 1986.
- Tataradze A., Issues of the history of Georgian folk choreography, Tb., 1999.
- Tsintsadze D., Filfani V., Svan folk art, Tb., 2020.
- Ковалевский В., Страна снегов и башен, „Прибой“, L., 1930.